ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 134

ქალაქი ქუთაისი 15 ნოემბერი 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სიმღერის აკადემიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 10 ნოემბრის №44-4422314223 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სიმღერის აკადემიისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412749717) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩა №97-ში მდებარე უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის თაობაზე (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.06.22.054; არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი: 1383.0 კვ.მ. შენობა – ნაგებობა №1 – საერთო ფართით 840.14 კვ.მ. მათ შორის: I სართული – 804.66 კვ.მ. II სართული – 35.48 კვ.მ.), 20 (ოცი) წლის ვადით.

მუხლი 2. ქონების სარგებლობის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა“ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2022 წლის 28 იანვარს გაფორმებული №2000102722 ნასესხებ შეკრულების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული

საქართველოს ქ. ქუთაისის
ს ა ქ რ ე ბ უ ლ ო
მას № 233
16 11 2022 წ.

ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (26.10.2022 წელი, №007338822) შესაბამისად, რომელიც შეადგენს 40 943.0 (ორმოციათას ცხრაას ორმოცდასამი) ლარს.

მუხლი 3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სიმღერის აკადემია“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412749717) ვალდებულია, ქონების სარგებლობის წლიური საიჯარო ქირის გადახდა დაიწყოს სარგებლობაში გადაცემული ქონების ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის შემდეგ.

მუხლი 4. ქონების სარგებლობის წლიური საიჯარო ქირის გადახედვა უნდა განხორციელდეს 5 (ხუთი) კალენდარული წლის შემდეგ.

მუხლი 5. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სიმღერის აკადემია“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412749717) ვალდებულია, სარგებლობაში გადაცემულ უძრავ ქონებაზე უზრუნველყოს მრავალფუნქციური მუსიკალური სტუდიის შექმნა.

მუხლი 6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 7. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 9. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო